დანართი ***No. 1***

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა, მაგისტრატურა

შპს ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი_2025 წლის 15 ივლისი

დასკვნის ჩაბარების თარიღი: 2025 წლის 1 სექტემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ..... **Error! Bookmark not defined.**

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... **Error! Bookmark not defined.**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... **Error! Bookmark not defined.**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... **Error! Bookmark not defined.**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..... **Error! Bookmark not defined.**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... **Error! Bookmark not defined.**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა..... **Error! Bookmark not defined.**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები **Error! Bookmark not defined.**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	445434888
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. აურელია ბლაჟევიჩიენე, ლიეტუვის ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეა კორძაძე-მარღიშვილი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია ნოღაიდელი - სტრატეგიული განვითარებისა და სამედიცინო ხარისხის დირექტორი, „ჯეო ჰოსპიტალსი“
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მერაბიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Public health and healthcare policy
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო პროგრამა, II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული** 0919.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში	-

---

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სასწავლო უნივერსიტეტის შპს „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მისიაა ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების ღირებულებების მხარდაჭერა და განხორციელება უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობის გზით, ახალი სასწავლო მეთოდების, ინოვაციური სასწავლო ინსტრუმენტების და პროგრესული მენეჯმენტის დანერგვა აკადემიურ სივრცეში თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების მუდმივი განვითარების მიზნით, რათა სამედიცინო პროფესიონალთა მომზადებით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

„ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ მხარს უჭერს გლობალურ ხედვას მულტიკულტურული სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნის გზით, რომელიც დაფუძნებულია სწავლების, კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის სრულყოფისა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებზე.

უნივერსიტეტი გლობალური ქსელის აქტიური წევრია და ჩართულია ცოდნის საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებაში, ხელს უწყობს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტეგრაციას გლობალურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისათვის საერთაშორისო მასშტაბით კარიერულ შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების აღდგენამ განაპირობა ახალი საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალებისთვის – მედიცინის ფაკულტეტზე დაიწყება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი პროგრამა).

ახალი სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა“ მედიცინის ფაკულტეტზე წარიმართება ქართულ ენაზე. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ს, მათ შორის 104 ECTS სავალდებულო და 16 ECTS არჩევითი კომპონენტია. სასწავლო პროცესი განხორციელდება ჰიბრიდული ფორმატით: სულ მცირე 80 კრედიტი უნდა შესრულდეს კამპუსში.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

მოცემული მიმოხილვა განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობითა და პროცედურების თანახმად. სასწავლო პროგრამის ანალიზი ეფუძნება თვითშეფასების კომიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც წარედგინა ხუთი ექსპერტისგან შემდგარ ჯგუფს ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე; ვიზიტი 2025 წლის 15 ივლისს ჩატარდა. ამასთან, საბოლოო დასკვნების შედგენისას ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სასწავლო პერსონალთან, მოწვეული ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელ(ებთან), დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (შესაბამისი პროგრამის ფარგლებში) ჩატარებული გასუბრების შედეგად. დასკვნების ჩამოყალიბებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი იყო ასევე დამატებითი მასალები და დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ახალი სასწავლო პროგრამის ავტორების მიერ.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, განეხილა პროგრამა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პედაგოგიურ პერსონალთან (აკადემიური და მოწვეული პერსონალი), სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალერა („ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“) შენობა, კერძოდ: მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული სერვისები, აუდიტორიები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ვიზიტის დასრულების შემდეგ შეხვედრა გამართეს, რათა განეხილათ საბოლოო პრეზენტაციები და ძირითადი მიგნებები. განხილული იქნა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე რეკომენდაციები მისი შემდგომი განვითარებისათვის. საბოლოოდ წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეჯერებული და შეთანხმებული პოზიცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მიღწევადია. დასახული მიზნები შეესაბამება „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მისიას და ითვალისწინებს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აგრეთვე გლობალური ჯანდაცვის გამოწვევებს. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას,

მისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობისა და გამოყენებული სწავლების მეთოდების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების სია ადექვატურად ასახავს მაგისტრის კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, მათ შორის დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარს, საკითხის ღრმა გაგების გამოხატვის შესაძლებლობას და კვლევითი ნაშრომების კრიტიკულ შეფასების უნარს და ა.შ. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა შესაძლებლობას, სწავლა განაგრძონ განათლების შემდეგ საფეხურზე. წარმოდგენილი ინფორმაცია და სოციალურ პარტნიორებთან შეხვედრები ცხადყოფს, რომ ჩამოყალიბებულია და წარმატებით ხორციელდება თანამშრომლობისა და მონაწილეობის შესაბამისი მექანიზმი სასწავლო პროგრამასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების, რეკომენდაციებისა და ინიციატივების გათვალისწინებას და ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

2.1 კომპონენტი

თვითშეფასების ანგარიშის ანალიზისა და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის მიღების წინაპირობებისა და შიდა გამოცდების პროცესის გამჭვირვალობის, სიზუსტისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას:

- რეკომენდებულია, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების ფართო კატეგორიების ნაცვლად, მიეთითოს შესაბამისი დისციპლინები უფრო კონკრეტულად და არა ზოგადი ტერმინებით.
- რეკომენდებულია, „ფარმაცია და საექთნო საქმე“ არ განიხილოს როგორც ერთიანი კატეგორია, არამედ გაიყოს ორ დამოუკიდებელ დისციპლინად — რათა ზუსტად აისახოს თითოეული სფეროს სპეციფიკური საგანმანათლებლო და პროფესიული მოთხოვნები.

აღნიშნული ცვლილებები გააუმჯობესებს მიღების კრიტერიუმების აღქმას და უკეთესად შეუსაბამებს მიღების კრიტერიუმებს პროგრამის ინტერდისციპლინურ მოთხოვნებს, რითაც უზრუნველყოფს აპლიკანტების მზადყოფნის უფრო ზუსტ შეფასებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აქტუალობის, აკადემიური ხარისხისა და პრაქტიკული ღირებულების გაძლიერების მიზნით, წარმოდგენილია შემდეგი რჩევები:

კომპონენტი 1.1

- სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა სოციალურ პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი პროგრამის კომიტეტში ჩართვის საშუალებით.
- სასურველია, შექმნან პროგრამის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის შედეგებზე, სწავლის შედეგებზე და საგნების სწავლების შედეგებთან შესაბამისობაზე.

კომპონენტი 1.2

- სასურველია, გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალი და განვითარებადი მიმართულებებით, როგორიცაა:

კლიმატის ცვლილება და ჯანმრთელობა

ციფრული ეპიდემიოლოგია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი და ეთიკა

ჯანდაცვის დიპლომატია და გლობალური მმართველობა

- სასურველია, თანამშრომლობის გაძლიერება მოწვეულ პროფესორებთან ან ონლაინ პლატფორმებთან კურსების მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით.

კომპონენტი 1.3

- სასურველია, პრაქტიკული ტრენინგების ჩართვა (მაგ., DHIS2, REDCap, SPSS/R/Python) ჯანდაცვის ინფორმატიკის სისტემებში.
- სასურველია, სიმულაციური ლაბორატორიების შექმნა ეპიდემიაზე რეაგირებისთვის, მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ტელემედიცინისთვის.

- სასურველია, წახალისდეს სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება (ეთიკური პრინციპების დაცვით) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის პროცესში.

კომპონენტი 1.4

- სასურველია, განახლდეს სასწავლო საგნების სილაბუსების უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით.

კომპონენტი 1.4

- სასურველია, შეიქმნას სიმულაციური ლაბორატორიები პრაქტიკული სწავლებისთვის შემდეგ მიმართულებებში:

  ეპიდაფეთქებებზე რეაგირება

  მონაცემთა ვიზუალიზაცია

  ტელემედიცინის გამოყენება და დისტანციური კონსულტაცია.

- სასურველია, წახალისდეს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევასა და პოლიტიკის ანალიზში, რაც ხელს შეუწყობს ციფრული წიგნიერების განვითარებას და ინოვაციების დანერგვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკაში.

კომპონენტი 2.2

- სასურველია, მეოთხე სემესტრის სრული 30 ECTS კრედიტი დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომს, რაც გააძლიერებს სიღრმისეული, დამოუკიდებელი კვლევის მნიშვნელობას. (ამჟამად, მეოთხე სემესტრი მოიცავს სამაგისტრო პროექტს (10 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომს (20 ECTS).)
- სასურველია, ამჟამად სამაგისტრო პროექტისთვის განკუთვნილი 10 კრედიტი გადანაწილდეს პირველ, მეორე და მესამე სემესტრებზე, რაც ხელს შეუწყობს:
  - სტუდენტების ადრეულ ჩართულობას კვლევით მეთოდოლოგიებში
  - სტუდენტების კვლევითი უნარების თანდათანობით განვითარებას
  - კვლევის უკეთ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

კომპონენტი 4.1

სასურველია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის მხარდაჭერა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში.

კომპონენტი 4.2

- სასურველია, მომზადდეს საკვლევი თემატიკის სია, საიდანაც სტუდენტებს შეეძლებათ არჩევანის გაკეთება.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომს უხელმძღვანელოს იმ აკადემიურმა პერსონალმა, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

კომპონენტი 5.2

- სასურველია: ყოველი ახალი პროგრამის შემუშავებისას პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობდეს დამოუკიდებელი გარე ექსპერტი, რომელიც არ წარმოადგენს შეფასებული პროგრამის მხარეს, არ არის დაინტერესებული პირი, იცავს ეთიკის ნორმებს შეფასების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში ფლობს როგორც ზოგად ცოდნას, ისე შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს.

კომპონენტი 5.3

- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამა პერიოდულად შეადაროს ანალოგიურ პროგრამებს უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებში და შედეგები წარმოადგინოს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით, ე.წ. „სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

არ ეხება

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და რამდენადაც უნივერსიტეტი სრულად დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნას, დასკვნის პროექტში ცვლილებები აღარ განხორციელებულა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

1.1 პროგრამის მიზნები

სასწავლო პროგრამის მიზნები (ყოვლისმომცველი ცოდნა და უნარები, ლიდერობა და გლობალიზაცია, ჯანდაცვის ახალი გამოწვევები ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და სხვა) მკაფიოდ არის განსაზღვრული და ნათლად შეესაბამება ბაუ-ის ფართო საზოგადოებრივ მისიას (უნივერსალურ ღირებულებებზე ფოკუსირება, ცოდნის გავრცელება) და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიულ ხედვას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლების მიღწევას, მომავლისკენ ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველყოფას და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება საქართველოს სტრატეგიას – „„საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამუშაო ძალის სტრატეგია“, რომლის მიზანია ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამუშაო ძალის გაუმჯობესება.

თვითშეფასების ანგარიშში შრომის ბაზრის მოთხოვნების არგუმენტაცია ნაკლებად დამაჯერებელია. შესაბამისად, ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაცია საქართველოში პირადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის განვითარების შესახებ. დამსაქმებელთა წარმომადგენლებმა (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბათუმის ფილიალი, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ბაუ საერთაშორისო ჰოსპიტალი, ჯანმრთელობის ცენტრი და სხვ.) მიუთითეს ეპიდემიოლოგების, ჯანმრთელობის სტატისტიკის სპეციალისტების და ჯანდაცვის მენეჯერების საჭიროებაზე, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა დაწესებულებაში სფეროს პროფესიონალ სპეციალისტებად მუშაობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მათი მიღწევა შესაძლებელია. აღნიშნული მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აგრეთვე გლობალური ჯანდაცვის გამოწვევებს.

პროგრამა შეესაბამება ინსტიტუციის მისიას და ეროვნული სტრატეგიული ჯანდაცვის პრიორიტეტებს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს კურსდამთავრებულები, როგორც

კომპეტენტური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროფესიონალები, პოლიტიკის განმსაზღვრელები და მენეჯერები, რომლებიც შეძლებენ ლიდერობასა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ჯანდაცვის სისტემებში. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას, ლიდერობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას, ხოლო სწავლის შედეგები ეფუძნება საერთაშორისო კომპეტენციის ჩარჩოებს (მაგალითად, ASPHER).

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მიღწევადია. აღნიშნული მიზნები შეესაბამება ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აგრეთვე გლობალური ჯანდაცვის გამოწვევებს. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობისა და გამოყენებული სწავლების მეთოდების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონეს. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული უნარების გამოყენებას და ინტერდისციპლინურ სწავლებას, რაც ხაზს უსვამს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან. სწავლის შედეგები ავითარებს როგორც საგნობრივ, ასევე ტრანსფერულ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები მზად არიან იმუშაონ სხვადასხვა პოზიციაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების სია ადექვატურად ასახავს მაგისტრის კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, მათ შორის დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარს, საკითხის ღრმა გაგების გამოხატვის შესაძლებლობას და კვლევითი ნაშრომების კრიტიკულ შეფასების უნარს და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს, გააგრძელონ სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე. წარდგენილმა ინფორმაციამ და

სოციალურ პარტნიორებთან შეხვედრებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროგრამასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ჩამოყალიბებულია და ეფექტურად ხორციელდება თანამშრომლობისა და მონაწილეობის შესაბამისი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების, რეკომენდაციებისა და ინიციატივების გათვალისწინებას და ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- შეხვედრა ადმინისტრაციულ პერსონალთან
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა სოციალურ პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი პროგრამის კომიტეტში ჩართვის საშუალებით.
- სასურველია, შეიქმნას პროგრამის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის შედეგებზე, სწავლის შედეგებზე და საგნების სწავლების შედეგებთან შესაბამისობაზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	**x**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან და განაწილებულია ოთხ სემესტრზე. აქედან 104 ECTS სავალდებულოა და 16 ECTS კრედიტი არის არჩევითი. კურიკულუმი ორგანიზებულია თემატურ ბლოკებად, რომლებიც მოიცავს მართვას, ეპიდემიოლოგიას, კომუნიკაციას, მონაცემთა ანალიზსა და გლობალურ ჯანმრთელობას, რომელიც სტრულდება კვლევაზე ორიენტირებული სამაგისტრო ნაშრომით ან პროექტით.

კურიკულუმის სტრუქტურა ლოგიკურია და თანმიმდევრული, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსები მკაფიოდ არის დაკავშირებული კომპეტენციებთან და ეტაპობრივად არის განაწილებული — შესავალი, გაღრმავება და განმტკიცება — რაც უზრუნველყოფს სტუდენტების უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც გამოიხატება როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ასევე პრაქტიკულ პროექტების შესრულების მოთხოვნით. კურიკულუმში არჩევითი კურსების ჩართვა უზრუნველყოფს აკადემიურ მოქნილობას და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებას.

კურიკულუმის სწავლისა და კომპეტენციის სფეროები შეესაბამება როგორც ევროპის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განათლების აკრედიტაციის სააგენტოს (APHEA) მიერ, ისე სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლების ასოციაციის (ASPHER) დოკუმენტებით. პროგრამაში გამოყენებული წავლების თანამედროვე ს მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელსა და დაინტერესებულ მხარეებს (დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ლექტორები) შორის განხორცილებული თანამშრომლობითი აქტივობები.

ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტის დროს შეხვდა დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლებს. დამსაქმებლებმა, ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებიდან, ძირითადად დადებითად შეაფასეს კომპეტენციები, რომელსაც მომავალი კურსდამთავრებულები შეიძენენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- - პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალი და განვითარებადი მიმართულებებით, როგორიცაა:

- კლიმატის ცვლილება და ჯანმრთელობა
- ციფრული ეპიდემიოლოგია
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი და ეთიკა
- ჯანდაცვის დიპლომატია და გლობალური მმართველობა

სასურველია, თანამშრომლობის გაძლიერება მოწვეულ პროფესორებთან ან ონლაინ პლატფორმებთან კურსების მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

„ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სამაგისტრო პროგრამას "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა" აქვს კომპლექსური და სტრუქტურირებული მექანიზმი პროგრამის სწავლების შედეგების შეფასებისთვის. შეფასების პროცესი შეესაბამება ეროვნულ და ინსტიტუციურ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და შედგება მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპებისგან.

პროგრამა იყენებს როგორც პირდაპირ (გამოცდები, პროექტები, პრეზენტაციები და ქეისების ანალიზი, რომელიც ფასდება წინასწარ განსაზღვრული რუბრიკების მიხედვით), ასევე არაპირდაპირ (სტუდენტების თვითშეფასებები; კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები; გარე შეფასებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებისა და აკადემიური ექსპერტების მიერ) შეფასების მეთოდებს, რათა შეფასდეს სასწავლო შედეგების მიღწევა.

საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო განსაზღვრავს რეკომენდაციებსა და მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწორად შემუშავებისთვის. ეს დოკუმენტი უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, აკადემიური ინიციატივები დამოუკიდებლად და საკუთარი ინტერპრეტაციით განახორციელოს. სწავლის შედეგები თითოეული საგანმანათლებლო სფეროსთვის (განსხვავებით რეგულირებადი პროფესიებისგან, როგორიცაა მედიცინა, სამართალი, მასწავლებელთა მომზადება, საზღვაო საქმე, სადაც დარგობრივი სტანდარტებია განსაზღვრული) უნდა შემუშავდეს დამოუკიდებლად, კონკრეტული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტს და აქტიურად იყენებს სწავლის შედეგების შეფასებას უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

აკადემიური პერსონალისთვის ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელიც მათ ეხმარება სწავლის შედეგების დაგეგმვის, შეფასებისა და ანალიზის უნარების განვითარებაში. უსდ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას შეფასების შედეგების ანალიზის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- შეხვედრა ადმინისტრაციულ პერსონალთან
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
-

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პრაქტიკული ტრენინგების ჩართვა (მაგ., DHIS2, REDCap, SPSS/R/Python) ჯანდაცვის ინფორმატიკის სისტემებში.
- სასურველია, სიმულაციური ლაბორატორიების შექმნა ეპიდემიაზე რეაგირებისთვის, მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ტელემედიცინისთვის.
- სასურველია, წახალისდეს სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება (ეთიკური პრინციპების დაცვით) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის პროცესში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**x**	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა ეფექტურად უწყობს ხელს ინტერდისციპლინური კომპეტენციების განვითარებას, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროფესიონალებისთვის 21-ე საუკუნეში. პროგრამა შედგება 120 ECTS კრედიტისგან და განაწილებულია ოთხ სემესტრზე. აქედან 104 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითად/სავალდებულო კურსებს და 16 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს, რაც მთავრდება სამაგისტრო ნაშრომით ან პროექტით (30 ECTS კრედიტი)

კურიკულუმი დაყოფილია შემდეგ თემატურ ბლოკებად:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკა და მმართველობა
- ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა
- კომუნიკაცია და ლიდერობა
- კვლევის მეთოდოლოგია და თეზისის შემუშავება
- გლობალური და ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემები

მოდულური სტრუქტურის გამჭვირვალობა ხელს უწყობს ეტაპობრივ სწავლებას. შესავალი კურსები ქმნის საფუძვლიან ცოდნას, ხოლო შემდგომი მოდულები მიზნად ისახავს ამ ცოდნის გაღრმავებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ასეთი თანმიმდევრულად აგებული მიდგომა ხელს უწყობს კომპეტენციების განვითარებას და აკადემიურ პროგრესს.

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებას ეთმობა მთელი მეორე წელი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში გამოიყენონ. არჩევითი კურსები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, თუნდაც შეზღუდული აკადემიური თავისუფლება გამოიყენონ და საკუთარი ინტერესების შესაბამისად სპეციალიზდნენ. არჩევითი კურსების შერჩევა ხდება არსებული ტენდენციებისა და სტუდენტთა/დამსაქმებელთა საჭიროებების გათვალისწინებით და პროგრამის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია, რომ მათი ჩამონათვალი გაიზრდება. პროგრამაში ინტეგრირებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, გათვალისწინებულია ქართულ-ინგლისური ორენოვანი სწავლება და სურვილისამებრ მობილობის შესაძლებლობები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტი, 2025
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესები („ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“)

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განახლდეს სასწავლო საგნების სილაბუსები უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	**x**	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსი დეტალურად არის სტრუქტურირებული და მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეულ კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტების რაოდენობა ზუსტად შეესაბამება სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მოცულობას, სირთულესა და სამუშაო დატვირთვას. სილაბუსებში წარმოდგენილია თემების თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული კოგნიტური და პრაქტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და პოლიტიკის ფორმულირება. კურსების უმეტესობას მინიჭებული აქვს 4-დან 8-მდე ECTS კრედიტი. უფრო რთულ და კომპლექსურ საგნებს მინიჭებული აქვს მეტი კრედიტი,

(მაგალითად: ეპიდემიოლოგია, ჯანდაცვის პოლიტიკა და მმართველობა), რაც უზრუნველყოფს საკმარის დროს საგნის სიღრმისეული სწავლისა და პრაქტიკისთვის. საბაზისო ცოდნიდან (პირველი სემესტრი) გამოყენების დონეზე (მე-3 და მე-4 სემესტრი) გადასვლა კარგად არის სტრუქტურირებული და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას თითოეულ ეტაპზე.

სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლის შედეგებსა და დარგის მიღწევებს და ითვალისიწნებს უახლესს კვლევებს.

კურსის შინაარსი და მინიჭებული კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი მიღწევისთვის საჭირო რესურსებსა და დატვირთვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტი, 2025
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესები „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“)

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შეიქმნას სიმულაციური ლაბორატორიები პრაქტიკული სწავლებისთვის შემდეგ მიმართულებებში:

  ეპიდაფეთქებებზე რეაგირება

  მონაცემთა ვიზუალიზაცია

  ტელემედიცინის გამოყენება და დისტანციური კონსულტაცია.

- სასურველია, წახალისდეს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევასა და პოლიტიკის ანალიზში, რაც ხელს შეუწყობს ციფრული წიგნიერების განვითარებას და ინოვაციების დანერგვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	x	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ნათლად არის მოცემული თვითშეფასების დოკუმენტებში; ეს ინფორმაცია დადასტურდა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრაზე მიღება რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობებით, რომელიც მორგებულია როგორც ქართველ, ისე უცხოელი აპლიკანტებზე. მიღების პროცესი უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ ის კანდიდატები მიიღონ ჩარიცხვის უფლება, ვინც აჩვენებს საჭირო აკადემიურ კვალიფიკაციას, ენის ცოდნას და მოტივაციას.

მოთხოვნათა ჩამონათვალია ასეთია:

საქართველოს მოქალაქეებისთვის

- კანდიდატმა წარმატებით უნდა ჩააბაროს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი საერთო სამაგისტრო გამოცდა ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის, ვინც საზღვარგარეთ მიიღო განათლება

- კანდიდატი უნდა ფლობდეს აკრედიტირებული სასწავლებლის მიერ გაცემულ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის, ვინც საზღვარგარეთ მიიღო განათლება მიიღებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მათი უცხოური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ოფიციალურად აღიარებული იქნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (EQE) მიერ.

კანდიდატებისთვის, რომლებიც გადმოდიან უცხოური სასწავლებლებიდან

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც საზღვარგარეთ დაასრულეს ან ამჟამად აგრძელებენ სწავლას მაგისტრატურაში, შესაძლებლობა აქვტ განაცხადონ პროგრამაში ჩარიცხვაზე ან გადმოსვლაზე.
- ჩარიცხვა დამოკიდებულია კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარებაზე, რაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროგრამაზე დაშვებისთვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ერთ-ერთ შემდეგ სფეროში:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
- ფარმაცია ან საექთნო საქმე
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები,
- სოციალური მეცნიერებები,
- მენეჯმენტი
- პროგრამაზე დაიშვებიან დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირები.

პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, განაცხადის წარდგენა შეუძლიათ სხვადასხვა აკადემიური და პროფესიული სფეროს წარმომადგენლებს, რომელთაც აინტერესებთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფერო.

კანდიდატებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, რომელშიც შედის სამი ძირითადი კომპონენტი:

ა. ინგლისური ენის ტესტი (მთლიანი ქულის 50 %),

- რომელიც აფასებს კითხვის, მოსმენის, წერას, საუბრის, გრამატიკისა და ლექსიკის უნარებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში.
- გამსვლელი ზღვარი 60 ქულაა.
- აპლიკანტები თავისუფლდებიან ამ გამოცდისგან, თუ მათ:
    - დასრულებული აქვთ ზოგადი ან უმაღლესი განათლების მინიმუმ 2 წელი ინგლისურ ენაზე, ან
    - წარმოადგინეს საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნას (მაგ., IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore).
    - ასეთ შემთხვევაში, ამ კომპონენტისთვის ავტომატურად ენიჭება 60 ქულა.

ბ. თემატური (საგნობრივი) გამოცდა (საერთო ქულის 25%)

- აფასებს კანდიდატის აკადემიურ ცოდნას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაკავშირებული სფეროების ცოდნის ხარისხს.
- აფასებს კანდიდატის უნარს, ჩაერთოს პროგრამისთვის მნიშვნელოვან ძირითად თემებში.

გ. გასაუბრება (საერთო ქულის 25%)

- აფასებს კანდიდატის მოტივაციას, ხედვას, აკადემიურ მიზნებს და პროფესიულ მისწრაფებებს.
- აფასებს კანდიდატის ინტერესების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან.

ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი

- აპლიკანტებმა უნდა დააკმაყოფილონ მინიმალური მოთხოვნილი ქულა ინგლისური ენის კომპონენტში (ან მიიღონ გამონაკლისის სტატუსი).
- სამივე კომპონენტის ქულები ჯამდება.
- პროგრამაზე დაიშვება ყველაზე მაღალი ქულის მქონე აპლიკანტები, პროგრამაზე ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bauinternational.edu.ge

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების ფართო კატეგორიების ნაცვლად, მიეთითოს შესაბამისი დისციპლინები უფრო კონკრეტულად და არა ზოგადი ტერმინებით.**

- **რეკომენდებულია, „ფარმაცია და საექთნო საქმე“ არ განიხილოს როგორც ერთიანი კატეგორია, არამედ გაიყოს ორ დამოუკიდებელ დისციპლინად — რათა ზუსტად აისახოს თითოეული სფეროს სპეციფიკური საგანმანათლებლო და პროფესიული მოთხოვნები.**

აღნიშნული ცვლილებები გაუმჯობესებს მიღების კრიტერიუმების აღქმას და უკეთესად შეუსაბამებს მიღების კრიტერიუმებს პროგრამის ინტერდისციპლინურ მოთხოვნებს, რითაც უზრუნველყოფს აპლიკანტების მზადყოფნის უფრო ზუსტ შეფასებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	**x**	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამაში პრაქტიკული და კვლევითი უნარები ვითარდება როგორც სავალდებულო სამაგისტრო პროექტის (და/ან ნაშრომის) დამოუკიდებლად შესრულების საშუალებით, ისე ინდივიდუალური დავალებებისა და მცირე პროექტების ინტეგრირებით პროგრამის უმეტესი საგნების სპეციფიკის შესაბამისად. პროგრამის ყველა კურსი, თეორიული ცოდნის პარალელურად, აცნობიერებს პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობას და ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას პრაქტიკული დავალებების საშუალებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო პროექტის შესრულების შესაძლებლობას, რაც მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენოს პრაქტიკაში - კონკრეტულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციაში ან პროგრამაში მუშაობის პროცესში. ეს ეხმარება სტუდენტებს გაიგონ დარგის თავისებურებები და მნიშვნელობა, ასევე გაიაზრონ არჩეული პროფესიის არსი და მიზანი.

პროგრამის განმავლობაში სტუდენტი თეორიულ ცოდნას - როგორიცაა მენეჯმენტი, საზოგადოებრივი პოლიტიკა და ეპიდემიოლოგია - იყენებს რეალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების გადასაჭრელად. პროფესიულ გარემოსთან ურთიერთობით (მაგ., სამედიცინო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან), სტუდენტი აკვირდება პროფესიულ გარემოს, აგროვებს მონაცემებს ინტერვიუების, დოკუმენტაციისა და სხვა საშუალებების მეშვეობით და აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. სტუდენტი რეკომენდაციებს წარუდგენს როგორც უნივერსიტეტს, ასევე მასპინძელ ორგანიზაციას. რეკომენდაციები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების გადაჭრას ან კონკრეტული სერვისების და პროგრამების გაუმჯობესებას. ამ პროცესში გათვალისწინებულია ორგანიზაციული კონტექსტი, არსებული რესურსები და გარე გავლენის მქონე ფაქტორები.

პრაქტიკული პროექტის დაგეგმვა და განხორციელება მოიცავს აკადემიურ ხელმძღვანელთან რეგულარულ კონსულტაციებს, რომლის მიზანია პროექტის გეგმის განხილვა, მეთოდოლოგიის შერჩევა, იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროგრესის შეფასება. სტუდენტები ასევე ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს პარტნიორ ორგანიზაციაში, რაც მოიცავს კონტექსტის ანალიზს, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას, მონაცემების შეგროვებასა და დაკვირვებას, ასევე პროექტის განვითარებაში მიღებული უკუკავშირის ინტეგრირებას.

დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს და გულისხმობს შესაბამისი ლიტერატურისა და დოკუმენტაციის განხილვას, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში მცირე კვლევის ჩატარებას და მონაცემთა ანალიზს. პროექტი სრულდება დეტალური ანგარიშის მომზადებით და ოფიციალური პრეზენტაციით.

ბოლო სემესტრში სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს — დამოუკიდებელ კვლევით სამუშაოს, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონკრეტულ და აქტუალურ საკითხს. ნაშრომის მიზანია მეთოდოლოგიურად გამართული კვლევის ჩატარება, შედეგების ანალიზი და აკადემიური სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის მომზადება. ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, სპეციალურად დანიშნული აკადემიური კომისიის წინაშე.

პროგრამის ეს კომპონენტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა გამოავლინოს აკადემიური კეთილსინდისიერება და მეთოდოლოგიის სწორად შერჩევის და გამოყენების უნარი, პარალელურად განავითაროს კრიტიკული ანალიზის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრის უნარები.

სფეროს სპეციფიკური კომპეტენციების ფარგლებში, პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა, ანალიტიკური აზროვნება, დროის მართვა, ორგანიზება და თვითორგანიზება, გუნდური მუშაობა და პროექტების მართვის უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უმაღლესი განათლების პროგრამის განხორციელების წესი

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კვლევითი კომპონენტის გადანაწილების რესტრუქტურირება

- სასურველია, მეოთხე სემესტრის სრული 30 ECTS კრედიტი დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომს, რაც გააძლიერებს სიღრმისეული, დამოუკიდებელი კვლევის მნიშვნელობას. (ამჟამად, მეოთხე სემესტრი მოიცავს სამაგისტრო პროექტს (10 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომს (20 ECTS).)
- სასურველია, ამჟამად სამაგისტრო პროექტისთვის განკუთვნილი 10 კრედიტი გადანაწილდეს პირველ, მეორე და მესამე სემესტრებზე, რაც ხელს შეუწყობს:
    - სტუდენტების ადრეულ ჩართულობას კვლევით მეთოდოლოგიებში
    - სტუდენტების კვლევითი უნარების თანდათანობით განვითარებას
    - კვლევის უკეთ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის თითოეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება სწავლის დონეს. ეს მეთოდები მოიცავს ჯგუფურ პროექტებს, პრობლემასა და შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL, CBL), სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის სესიებს (სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შეფასება), პრაქტიკულ მონაცემთა ანალიზის

სავარჯიშოებს, სიმულაციებს, ლექციებს, პრაქტიკულ სესიებს, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, სახელმძღვანელოების შესწავლას, აკადემიური წერითი დავალებებს და სხვა.

პროგრამის ძირითადი სწავლების მეთოდებია ლექციები და სემინარები. ლექციებზე სტუდენტებს მიეწოდებათ კომპლექსური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას და თეორიული კონცეფციების პრაქტიკულ გამოყენებას. სემინარები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერაქტიურ ჩართულობას, რომელიც გულისხმობს კრიტიკულ დისკუსიებში მონაწილეობას, სტუდენტთა პრეზენტაციებს და კონკრეტულ თემებზე კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის ჩატარებას.

გამოყენებული სწავლების მიდგომები მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას და კომპეტენციების ფართო სპექტრის განვითარებას, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას. გამოყენებული სწავლების მეთოდები მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას და კომპეტენციების ფართო სპექტრის განვითარებას, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი დეტალურად აღწერს გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას როგორც კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, ასევე პროგრამის ზოგად მიზნებთან.

კურიკულუმის, , სილაბუსებისა და თანმხლები დოკუმენტაციის განხილვისა და ასევე ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე აშკარაა, რომ პროგრამა დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა და სწავლების მეთოდებზე. ამ მეთოდების განსაკუთრებულობა მდგომარეობს მათში, რომ ისინი მოქნილი არიან და რეაგირებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე.

.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უმაღლესი განათლების პროგრამის განხორციელების წესი

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და თითოეული კურსისთვის განსაზღვრული შეფასების კომპონენტები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ფორმატიული, ასევე შემაჯამებელი შეფასების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროგრესის კომლექსურ შეფასებას.

ფორმატიული შეფასების მიდგომები მოიცავს უკუკავშირის მექანიზმებს, პროცესზე ორიენტირებულ შეფასებას, კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებას და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებს. ეს მიდგომები მიზნად ისახავს სტუდენტების უწყვეტ განვითარებას. ამის პარალელურად, პროგრამა მოიცავს შემაჯამებელი შეფასების ძირეულ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური სტანდარტების დაცვას, მრავალმხრივი შეფასების მიდგომის გამოყენებას, გამჭვირვალობას, ობიექტურობას და პრაქტიკული კომპეტენციებისა და კვლევითი უნარების შეფასებას.

პროგრამა შეიცავს როგორც უწყვეტ, ასევე საბოლოო შეფასებებს, რომლებიც ინტეგრირებულია როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. უწყვეტი (მიმდინარე) შეფასება მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევაზე დაფუძნებულ დავალებებს, რომლებიც მორგებულია

კონკრეტულ საგანსა ან პრაქტიკულ კომპონენტზე. საბოლოო შეფასება შეიძლება გულისხმობდეს გამოცდას, პროექტების შესრულებას ან საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასებას, კურსის სტრუქტურის მიხედვით. სტუდენტის საბოლოო ქულა გამოითვლება ამ კომპონენტების შეჯამებით.

პროგრამაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომი ექვემდებარება ერთჯერად საბოლოო შეფასებას, რომელიც აერთიანებს თემის ხელმძღვანელის, რეცენზენტის და დაცვის კომისიის შეფასებებს.

თითოეული კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკურ მახასიათებლებს. სტუდენტური სერვისები და აკადემიური ჩანაწერები იმართება ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტ შეფასებას, ეხმარება ლექტორებს აკადემიური პროცესის მონიტორინგში და უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობას. სისტემა დროულად აწვდის ინფორმაციას როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს მათი აკადემიური პროგრესის შესახებ. გარდა მისა, შეფასების ცენტრი დოკუმენეტურად აფორმებს დააღრიცხავს სტუდენტების მიერ პრეზენტაციებში, შუალედურ, საბოლოო და დამატებით გამოცდებში მიღწეულ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სამაგისტრო პროგრამა 'საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა"

სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება:	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტთა მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც ეხმარება მათ აკადემიური დაგეგმვის განხორციელებაში, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში, და ამზადებს კარიერული შესაძლებლობებისა და პროფესიული განვითარებისათვის. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება იწყება სასწავლო პროცესის პირველ დღეს გამართული საორიენტაციო შეხვედრებით, განსაკუთრებით პირველკურსელთათვის.

ამ შეხვედრების დროს აკადემიური პერსონალი და პროგრამის კოორდინატორები წარადგენენ საკუთარ თავს და უზიარებენ მათ მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა საკითხზე. გარდა ამისა, პროგრამისა და დამხმარე სამსახურების წარმომადგენლები სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ საკონსულტაციო შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას და გამოყოფს სივრცეებს სტუდენტთა კლასგარეშე ჩართულობისთვის. ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები

მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ERASMUS+- ის დაფინანსებით ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2023-2025 წლებში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა სია. გარდა ამისა, დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს და ამხნევებს იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან უმაღლესი აკადემიური მიღწევებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პროფესიულ ორიენტაციას და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ღონისძიებებს დასაქმებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით.

სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი ატარებს დასაქმების ფორუმს, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციური დამსაქმებლების ჩართვასა და თანამშრომლობის ხელშეწყობას. ფორუმის ფარგლებში დამსაქმებლები აწვდიან ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ხოლო მათი HR წარმომადგენლები ან მენეჯერები ატარებენ გასაუბრებებს სტუდენტებთან. აღნიშნული ღონისძიება სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი უნარები და კომპეტენციები, რაც მათ პროფესიულ წინსვლას უწყობს ხელს.

უნივერსიტეტი ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს შემდეგი საშუალებებით: უნივერსიტეტის ვებსაიტები (https://www.bauinternational.edu.ge/; https://ois.bauinternational.edu.ge//), უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური/ პირადი კომუნიკაცია სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პირთა სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაო აღწერილობები;
- ინფორმაცია სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ;
- ვებგვერდები: (https://www.bauinternational.edu.ge/; https://ois.bauinternational.edu.ge/)
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**x**	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მაგისტრანტთა ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს, „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და სტანდარტის წესის“ საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, სამეცნიერო ხელმძღვანელები რეგულარულად ხვდებიან მაგისტრანტებს აკადემიური კონსულტაციების გასაწევად; ამ შეხვედრების სიხშირე დამოკიდებულია საკვლევი თემის სპეციფიკაზე. სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას კვალიფიციური პროფესიონალებისგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო, შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებს უფლება აქვთ უხელმძღვანელონ სამაგისტრო ნაშრომებს. სტუდენტებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ როგორც თემა, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელი; თუმცა, თემა მოქმედებს როგორც შერჩევის კრიტერიუმი, რომელიც ავალდებულებს სტუდენტს შეარჩიოს ისეთი ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია შეესაბამება არჩეულ მიმართულებას.

მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი ასევე პასუხისმგებელია სტუდენტის ინტეგრაციაზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო და შემოქმედებით სივრცეებში. უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი ერთდროულად მაქსიმუმ 5 სტუდენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენის სისტემას „Turnitin“, რომელსაც თან ახლავს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის რაიმე ფორმით გამოვლენა ხდება ნაშრომისთვის 0 ქულის მინიჭების საფუძველი.

ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დანერგა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სათანადო პროპორციის განსაზღვრის სისტემური მიდგომა. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა დანერგა როგორც ხელმძღვანელების, ისე თანახელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, მათ აკადემიურ ფუნქციებთან მიმართებით არსებითი ელემენტების გათვალისწინებით.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის“ პროგრამაში სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტთა თანაფარდობა შეადგენს 10/0-ს. ამ პროგრამაში სტუდენტის მიერ კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულების ერთ- ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ეტაპობრივი და დროული შესრულება, რაც გაწერილია „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მაგისტრატურის დებულებაში.

მაგისტრანტთა / დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**10**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**0**
თანაფარდობა	**10/0**

ნაშრომის ხელმძღვანელები სტუდენტებს უძღვებიან წერის მთელ პროცესში, მათ შორის ეხმარებიან შესაბამისი კვლევის თემის შერჩევაში, ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავებაში და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რესურსების შერჩევაში. ეს საწყისი მხარდაჭერა კვლევის

წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველია. ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ხელმძღვანელების მოვალეობაა ნაშრომის განვითარების უწყვეტი მონიტორინგი. ისინი უზრუნველყოფენ რეგულარულ უკუკავშირს და მზად არიან დაეხმარონ სტუდენტს კვლევის კურსის კორექტირებაში, თუ ის დაგეგმილი მიმართულებიდან გადაუხვევს. ეს უწყვეტი ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები სწორ გზაზე დარჩნენ და მოახერხონ გამოვლენილი სირთულეების გადალახვა სამუშაო პროცესის განმავლობაში.
ბოლოს, ნაშრომის დასრულებისას, ხელმძღვანელების მოვალეობაა წარადგინონ შეფასება, რომელიც ასახავს მათ შეხედულებებს სტუდენტის კვლევისა და წერის ხარისხზე. ამ ძირითადი ვალდებულებების შეფასებით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ მისი მექანიზმები ეფექტიანად ზომავს ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მიერ კვლევითი პროცესის განმავლობაში გაწეული ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის პროცედურა და სტანდარტი;
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ხარისხსა და ეფექტიანობას კანონმდებლობისა და ინსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებაში სულ 20 თანამშრომელია ჩართული, განაწილებული შემდეგნაირად:

- 5 აკადემიური პერსონალი:
  - 1 პროფესორი
  - 1 ასოცირებული პროფესორი
  - 1 ასისტენტ პროფესორი
  - 2 ასისტენტი
- 15 მოწვეული თანამშრომელი:

შესაბამისი დარგების ექსპერტები და პრაქტიკოსები, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობენ საკუთარი დარგობრივი კომპეტენციებისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე.
ასეთი შემადგენლობა ასახავს თეორიული და პრაქტიკული ექსპერტიზის დაბალანსებულ ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ყოვლისმომცველ განათლებას, რომელიც ემყარება როგორც აკადემიურ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ გამოცდილებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ინსტიტუციური რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.
აკადემიური პერსონალი ფლობს შესაბამის მაღალ აკადემიურ ხარისხს (მაგისტრის ან დოქტორის) და მათ გააჩნიათ სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება, რაც აუცილებელია პროგრამის კომპონენტების შესასრულებლად და განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მათი კომპეტენცია დასტურდება შემდეგით: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და მონაწილეობა კვლევით ან პრაქტიკულ პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და პოლიტიკასთან.

მოწვეული პერსონალის მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს: დადასტურებული პროფესიული გამოცდილება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სექტორში და დამტკიცებული დარგობრივი ექსპერტიზა და პედაგოგიური კომპეტენციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების და გამოყენებითი ცოდნის განვითარებას.
პერსონალის სამუშაო დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და მართვად განხორციელებას.
პროგრამაში ჩართული ყველა თანამშრომლის შესაბამისი დოკუმენტაცია და პირადი საქმეები ინახება და წარმოდგენილია დანართებში, რაც ადასტურებს კადრებთან დაკავშირებულ სტანდარტებთან შესაბამისობას.
პროგრამის ხელმძღვანელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფასა და მისი სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში. მთავარი კვალიფიკაციები მოიცავს:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში ფართო აკადემიურ და პრაქტიკულ გამოცდილებას

- პროგრამის დიზაინის, შეფასებისა და უწყვეტი განვითარების დადასტურებულ კომპეტენციას
- აქტიურ ჩართულობას შემდეგ აქტივობებში:
    - პროგრამის განხორციელება
    - სწავლის შედეგების მონიტორინგი
    - უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები

პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აკადემიურ თანმიმდევრულობას და მის შესაბამისობას როგორც ინსტიტუციურ მიზნებთან, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა და მიიღო სამეცნიერო კვლევების განვითარების ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს კვლევის გაძლიერებასთან დაკავშირებულ ძირითად პრიორიტეტებსა და ინსტიტუციურ მიზნებს. ეს სტრატეგია მოიცავს:

მხარდაჭერის მექანიზმებს აკადემიური პერსონალისთვის, რათა მათ შეძლონ:

- კვლევითი წინადადებების ინიცირება და განვითარება
- გარე დაფინანსების მოპოვება და მართვა
- კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება
- კვლევის შედეგების გავრცელება აკადემიური ღონისძიებებისა და პუბლიკაციების საშუალებით

ამჟამად დაგეგმილია ან მიმდინარეობს რამდენიმე სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რაც ასახავს უნივერსიტეტის ვალდებულებას, გააერთიანოს კვლევა სწავლების პროცესთან და შეიტანოს წვლილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უფრო ფართო სფეროში.

ეს გარემო ხელს უწყობს აკადემიურ ჩართულობას, ინოვაციებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სწავლებას პროგრამის ფარგლებში.

პროგრამას მხარს უჭერს ძლიერი ადმინისტრაციული სტრუქტურები, მათ შორის:

- ფაკულტეტის დეკანი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

ყველა ადმინისტრაციული თანამშრომელი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს, რაც შეესაბამება მათ როლებსა და პასუხისმგებლობებს, უზრუნველყოფს ეფექტიან კოორდინაციას, აკადემიურ მხარდაჭერას და რესურსებზე ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. პერსონალის ექსპერტიზა, კვლევითი ჩართულობა და პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ უწყობს ხელს სწავლის შედეგების მიღწევასა და პროგრამის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას. ინსტიტუციური ერთგულება პერსონალის განვითარების და კვლევითი სრულყოფილების მიმართ დამატებით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მდგრადობასა და წარმატებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**5**	**5**	**2**	**5**
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	-	1
- ასისტენტი	2	2	-	2
მოწვეული პერსონალი	20	20	4	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები

[6]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სასწავლო უნივერსიტეტის წესი სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ
- აკადემიური/ მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროპორციული თანაფარდობა ჩარიცხული/ დაშვებული სტუდენტების რაოდენობასთან
- სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგია

- **რეკომენდაციები:**

  არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის მხარდაჭერა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	**X**	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

ეს ანგარიში ასახავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის არსებულ მდგომარეობასა და ჩარჩოს. ხელმძღვანელობის სტრუქტურა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის აკადემიურ მხარდაჭერას და შესაბამისობას პროგრამის ინტერდისციპლინურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ ხასიათთან.

პროგრამის განხორციელების ამ ეტაპზე, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ჯერ არ დანიშნულან, ვინაიდან სტუდენტებმა ჯერ არ მიაღწიეს ნაშრომზე მუშაობის ეტაპს. თუმცა,

არსებობს მკაფიო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს დანიშვნის პროცესს, რათა თითოეულმა სტუდენტმა მიიღოს ინდივიდუალური სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

პროგრამის დადგენილი რეგულაციების მიხედვით:

- თითოეულ სტუდენტს დაენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან.
- ხელმძღვანელის დანიშვნა მოხდება სტუდენტის აკადემიური ინტერესების, ნაშრომის თემატიკისა და ფაკულტეტის წევრის ექსპერტიზის საფუძველზე.
- ხელმძღვანელთა შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს:
    - დოქტორის აკადემიურ კვალიფიკაციას
    - სამეცნიერო კვლევით გამოცდილებას
    - შესაბამის დარგში პრაქტიკულ და ექსპერტულ ჩართულობას

ეს უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელობა განხორციელდება პროფესიონალების მიერ, რომელთაც გააჩნიათ როგორც აკადემიური კომპეტენცია, ასევე რეალური პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამაში ამჟამად ჩართულია დოქტორის ხარისხის მქონე 6 აკადემიური თანამშრომელი, რომელთაგან თითოეული გამოირჩევა:

- სამეცნიერო ექსპერტიზით, რაც დასტურდება კვლევით გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობით
- პუბლიკაციებით, მათ შორის, სტატიებით საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში
- პრაქტიკული პროფესიული გამოცდილებით, რომელიც ასახავს მათ ჩართულობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკაში, სისტემებსა და საველე სამუშაოებში

ეს აკადემიური და პროფესიული პოტენციალი უზრუნველყოფს პერსონალს იმ კომპეტენციებით, რომელიც აუცილებელია ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის და შეესაბამება საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უშუალოდ პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით:

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეიძლება განხორციელდეს ფაკულტეტის ერთზე მეტი წევრის მიერ, რაც შესაძლებელს ხდის თანახელმძღვანელობის დანიშვნას იმ შემთხვევებში, როდესაც თემატიკა ერთზე მეტ დისციპლინას მოიცავს.

- გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს გარე თანახელმძღვანელების ან კონსულტანტების ჩართვას დაკავშირებული სფეროებიდან, როგორიცაა:
    - ეკონომიკა
    - სამართალი
    - სოფლის მეურნეობა
    - გარემოსდაცვითი მეცნიერება
    - ჯანდაცვის მართვა

ეს მრავალმხრივი მიდგომა იმის გარანტია, რომ სტუდენტებს ხელმძღვანელობენ ექსპერტები, რომლებიც შეძლებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომპლექსური და მრავალმხრივი გამოწვევების ანალიზს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ კონტექსტში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**20**	**6**	**5**
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი		1	1
- ასისტენტ–პროფესორი	1	-	1
მოწვეული პერსონალი	15	4	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტი
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მომზადდეს საკვლევი თემატიკის სია, საიდანაც სტუდენტებს შეეძლებათ არჩევანის გაკეთება.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომს უხელმძღვანელოს იმ აკადემიურმა პერსონალმა, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	**X**	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება თავის ვალდებულებად მიიჩნევს მაღალი აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებას, უზრუნველყოფს რა მხარდაჭერის გარემოს სწავლების ხარისხისთვის, კვლევითი წინსვლისა და საერთაშორისო აკადემიური ინტეგრაციისთვის.

„ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პრიორიტეტს წარმოადგენს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება, ვინაიდან იგი პროგრამის ხარისხისა და ინსტიტუციური განვითარების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს:

- უნარების უწყვეტ გაუმჯობესებას
- ინტეგრაციას გლობალურ აკადემიურ და კვლევით ქსელებში
- თანამედროვე სწავლის მეთოდოლოგიების დანერგვას
- კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას

პერსონალის განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას. ეს შეფასებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- სწავლების ეფექტიანობა
- სამეცნიერო და კვლევითი შედეგები
- ადმინისტრაციული საქმიანობა
- პიროვნული და პროფესიული განვითარება

შეფასების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტი ავითარებს და ახორციელებს ინდივიდუალურ განვითარების გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავს თითოეული თანამშრომლის განვითარების საჭიროებებისა და მათი გრძელვადიანი აკადემიური და პროფესიული წინსვლის მხარდაჭერას.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს და მხარს უჭერს პერსონალის მონაწილეობას:

- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში
- კვლევით და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში
- პროფესიული განვითარების სემინარებსა და ტრენინგებში

ეს აქტივობები ზრდის პერსონალის კომპეტენციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის, ჯანდაცვის მართვისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის სფეროებში, რაც შეესაბამება პროგრამის სტრატეგიულ ცენტრალურ სფეროებს.

პერსონალის განვითარება არა მხოლოდ წახალისებულია, არამედ ფინანსდება კიდეც უნივერსიტეტის მიერ. პროცესი სისტემატურად ინერგება:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, და
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამისთვის სპეციალურად შექმნილ განვითარების გეგმაში.

განვითარების სტრატეგია მოიცავს:

- შიდა და გარე ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე:
    - ინოვაციური სწავლების ტექნიკები
    - საგანმანათლებლო ტექნოლოგიები
    - კვლევის მეთოდოლოგიები
    - ინტერდისციპლინური ცოდნის გაცვლა
- მენტორინგის პროგრამებს, რომელშიც ახალგაზრდა და მოწვეული ლექტორები აკადემიური პერსონალის უფროს წევრებთან წყვილდებიან, რაც ხელს უწყობს:
    - პროფესიულ სოციალიზაციას
    - უნარების გადაცემას
    - ინსტიტუციური ცოდნის უწყვეტობას

კვლევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- ფინანსურ მხარდაჭერას სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში დასასწრებად (ადგილობრივ და საერთაშორისო)
- ტრენინგებს გრანტების წერისა და პროექტის მართვის შესახებ
- კვლევითი პროექტების დაფინანსებას
- დახმარებას იმპაქტ- ფაქტორის მქონე ჟურნალებში (Q1 და Q2) გამოქვეყნების პროცესში

ეს ინიციატივები საშუალებას აძლევს პერსონალს ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში, გააფართოვოს აკადემიური ქსელები და არ ჩამორჩეს გლობალური განვითარების ტრენდებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პერსონალის შეფასებები

- დოკუმენტირებული მენტორობა და კოორდინირებული განვითარების პროგრამები
- კვლევითი პროექტები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა შეისწავლეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მხარდამჭერი ფიზიკური ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ აკადემიური საქმიანობისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს ეფექტიანი, თანამედროვე და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოთხოვნებს.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ორი კამპუსის ტერიტორიაზე, რომლებიც ერთსა და იმავე მისამართზე მდებარეობს. კამპუსები სრულად აღჭურვილია როგორც აუდიტორიული, ისე ონლაინ სწავლის ფორმატებისთვის, რაც უზრუნველყოფს მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესის განხორციელებისას.

- სასწავლო ოთახები და აუდიტორიები:
    - ყველა აუდიტორია აღჭურვილია პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის HD ტელევიზორებით, ციფრული პროექციის სისტემებით და სხვა თანამედროვე საშუალებებით, რომლებიც ზრდის სწავლების ეფექტიანობას.
    - უნივერსიტეტში არის რამდენიმე სალექციო დარბაზი და სასემინარე ოთახი, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი სხვადასხვა სასწავლო ფორმატისთვის, როგორიცაა ლექციები, ჯგუფური მუშაობა და დისკუსიები.

კამპუსს გააჩნია სპეციალური PBL– CBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება / შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება) აუდიტორია, რომელიც გათვლილია 60 სტუდენტზე და აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და ტექნიკით ინტერაქტიული და სცენარებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატებისთვის.

სრულად აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი ხელმისაწვდომია ლექციების, პრეზენტაციების, აკადემიური ღონისძიებებისა და სემინარების ჩასატარებლად და იტევს 120 სტუდენტს. უნივერსიტეტის შენობაში არსებული ინფრასტრუქტურა ერთდროულად უზრუნველყოფს 490 სტუდენტის განთავსებას ლექციებისთვის. ეს მოცულობა უზრუნველყოფს სივრცეს ყველა სასწავლო პროგრამის, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის და ითვალისწინებს სამომავლო გაფართოების შესაძლებლობასაც.

ჰოლისტური საგანმანათლებლო გამოცდილების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- სტუდენტთა მუშაობის ოთახებს ჯგუფური პროექტების, დისკუსიებისა და გუნდური მუშაობისთვის
- დასვენების სივრცეებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა კეთილდღეობისა და კომფორტის გაუმჯობესებას სასწავლო სესიებს შორის
- რეკრეაციულ ზონებს, მათ შორის ღია სპორტულ მოედანს, რომელიც განკუთვნილია ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სათამაშოდ, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ჯანმრთელობას, ჩართულობასა და საერთო გარემოს შექმნას.
- უნივერსიტეტს აქვს სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე:

- Central & Eastern European Academic Source: ლიტერატურა, მეცნიერება, სამართალი, ბიზნესი და ეკონომიკა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო მეცნიერებები, ინჟინერია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, მედიცინა და ჯანდაცვა.
- Clinical Key: მედიცინა, ჯანდაცვა.
- DeGruyter Ebooks: არქიტექტურა და დიზაინი, სამართალი, ფილოსოფია, ხელოვნება, ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო მეცნიერებები, ფიზიკა, ქიმია, ინდუსტრიული ქიმია, მასალათმცოდნეობა, გეომეცნიერებები, კლასიკური და ახლო აღმოსავლეთის უძველესი კვლევები, ლინგვისტიკა, სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკა, ლიტერატურა, კულტურისა და რეგიონული ქვეყანათმცოდნეობა, თეოლოგია და რელიგიის კვლევები, ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერებები, მათემატიკა, ისტორია, მედიცინა და სიცოცხლის მეცნიერებები.
- Dynamed: ჯანდაცვის მართვა, მედიცინა, ანატომია, ფსიქოლოგია.
- E- Book Academic Collection: ელექტრონული წიგნების მრავალდარგოვანი ბაზა.
- Ebook Central (Proquest): ელექტრონული წიგნების მრავალდარგოვანი ბაზა.
- IGI Global e- Books: ინჟინერია, კომუნიკაცია, ჯანდაცვა, მენეჯმენტი.
- InCites: ინტეგრირებული აკადემიური პლატფორმა, რომელიც მკვლევრებს ეხმარება შეაფასონ თავიანთი კვლევის შედეგები და მიღწევები, დააკვირდნენ უახლეს ტენდენციებს და შეადარონ ინდივიდუალური და რეგიონული მონაცემები. InCites- ის გამოსაყენებლად საჭიროა Web of Science- ის მომხმარებლის ანგარიში.
- Intihal.net (EKUAL): პლაგიატის პრევენცია. (გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მომხმარებლის ანგარიშის მისაღებად.) მხოლოდ აკადემიური პერსონალისთვის.
- Jove: გარემო, ნეირომეცნიერება, ქიმია, ბიოლოგია, ბიოინჟინერია, ინჟინერია, მედიცინა, იმუნოლოგია.
- MEDLINE (EKUAL): მედიცინა და ჯანდაცვის მეცნიერებები.
- Mendeley: ბიბლიოგრაფიის მართვის სისტემა.
- Nature: ბიოლოგიური მეცნიერებები, ბიზნესი და ვაჭრობა, ნიადაგის და გარემოს მეცნიერებები, ჯანდაცვის მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სამეცნიერო საზოგადოება, სოციალურ მეცნიერებები.
- Newspaper Source Plus: გაზეთები და საინფორმაციო ჟურნალები.
- Ovid LWW Total Access: მედიცინა, ფარმაკოლოგია, ჯანდაცვის მართვა, ჯანდაცვის მეცნიერებები, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებები, მეცნიერება.

- Oxford Scholarship e- Book: სამართალი, ბიზნესი და მენეჯმენტი, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებები.
- Oxford University Press Journals: სოციალურ მეცნიერებები, მათემატიკა, სამართალი, ბიზნესი, სიცოცხლის მეცნიერებები.
- Proquest Central.
- SAGE Journals Online: ბიზნესი, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ტექნოლოგია და მედიცინა.
- ScienceDirect: ქიმია, კლინიკური მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერება, დედამიწისა და პლანეტარული მეცნიერებები, ეკონომიკა, ბიზნესი და მენეჯმენტი, ინჟინერია, ენერგეტიკა და ტექნოლოგია, გარემოს მეცნიერება, მასალათმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკა და ასტრონომია, სოციალურ მეცნიერებები.
- SciVal: სწრაფი და მარტივი წვდომა კვლევითი საქმიანობის მონაცემებზე 14,000- ზე მეტი კვლევითი დაწესებულებისა და 230 ქვეყნის მასშტაბით.
- Scopus: ქიმია, კლინიკური მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერება, ეკონომიკა, ბიზნესი და მენეჯმენტი, ინჟინერია, ენერგეტიკა, გარემოს მეცნიერება, მასალათმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკა და ასტრონომია, სოციალური მეცნიერებები.
- Taylor & Francis: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვის მართვა, ქცევითი მეცნიერებები, მედიცინა, ფსიქოლოგია, მეცნიერება, სოციალურ მეცნიერებები.
- Turnitin: პლაგიატის აღმოჩენა.
- UpToDate: დიაგნოსტიკა, ტერმინოლოგია, მედიცინა, ფარმაკოლოგია, პაციენტის განათლება.
- Web of Science: ინფორმაცია ავტორისა და პუბლიკაციის შესახებ.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ნაშრომის ტექსტის გადამოწმებას შესაბამისი პლატფორმის მეშვეობით – Turnitin.
- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დამატებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სათანადო მიმდინარეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ხელშეკრულებები აფილირებულ დაწესებულებებთან (დოკუმენტაცია ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებისა და სამეცნიერო ჟურნალებზე წვდომის სერვისების შეძენის შესახებ;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი: http://bauinternational.edu.ge/bib/opac/index_eng.php;
- ხელშეკრულება Turnitin- ის პლატფორმასთან - Turnitin - Quote-Q-665752-1 (დანართი #10)
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსი	**x**	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფინანსური მიმართულებების მართვისა და კონტროლის მექანიზმებს, ასევე მისი ფინანსური და საბუღალტრო პოლიტიკის გადახედვისა და შემდგომი შეფასების პროცესს. უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო ფინანსური რესურსები, რათა უზრუნველყოს მის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება. ფინანსური რესურსები დიფერენცირებულია დაფინანსების წყაროების მიხედვით; კერძოდ, უნივერსიტეტის ძირითადი

შემოსავალი შედგება სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლისა და პარტნიორების მიერ შეტანილი წვლილისგან.

უნივერსიტეტი ამზადებს წლიურ ბიუჯეტს, რომელიც შეესაბამება სასწავლო წელს და მოიცავს როგორც ფინანსურ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ასევე იმ რესურსებს, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის საანგარიშო პერიოდში. წლიური ბიუჯეტი შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან: შემოსავლებისა და ხარჯებისგან. ხარჯების ნაწილი მოიცავს შემდეგს: ხელფასები და ანაზღაურება (დივერსიფიცირებული პერსონალის კატეგორიების მიხედვით); პერსონალის პროფესიული განვითარება, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯები; საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი უზრუნველყოფის ხარჯები; უნივერსიტეტის სხვა საქმიანობა, მათ შორის კვლევისა და კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და კონფერენციების, აგრეთვე ზამთრისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზება. ბიუჯეტის კიდევ ერთი კომპონენტია სტუდენტური აქტივობების დაფინანსება, რომელიც მოიცავს კარიერულ მხარდაჭერას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, ასევე კულტურული, სპორტული და სოციალური ღონისძიებების დაფინანსებას. გარდა ამისა, ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებას.

ზოგადი ბიუჯეტის გარდა, შემუშავებულია სპეციალური ბიუჯეტი საჯარო ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ძირითად ხარჯვით კომპონენტებს, მათ შორის საგანმანათლებლო და კვლევით ინფრასტრუქტურას, სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას და კომუნალურ ხარჯებს (გათვლილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის პროპორციულად). ასევე, ის მოიცავს მარკეტინგის, პერსონალის პროფესიული განვითარების, კონფერენციების, კვლევითი აქტივობებისა და ბიბლიოთეკის რესურსების დაფინანსებას.

უნივერსიტეტის ფინანსური მართვის სისტემა წარმოაჩენს კარგად ორგანიზებულ, გამჭვირვალე და სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მდგრადობასა და ხარისხს. პროგრამისთვის სპეციალური ბიუჯეტის ინტეგრაცია, ინსტიტუციურ ხელმძღვანელობასთან და პერსონალისა და

სტუდენტების განვითარებაში ჩადებულ ინვესტიციასთან ერთად, უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეფექტიან კოორდინაციას აკადემიურ სრულყოფილებასთან და პროგრამის გრძელვადიან წარმატებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- ფინანსური მართვის პოლიტკა
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

უნივერსიტეტში მოქმედი მნიშვნელოვანი დოკუმენტების გარდა, ბაუ- ს ხარისხის მართვის სისტემა დამატებით ხელმძღვანელობს ISO 9001:2015 სტანდარტებით (პროცესებისა და პროცედურების მიმართულებით). ბაუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შეესაბამება პერსონალის, სტუდენტების, მომავალი კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და ინტერესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის შეფასება/ მონიტორინგი მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას, როგორიცაა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, განხორციელება და მართვა; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეები; და საგანმანათლებლო პროცესისთვის რესურსების (ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა) უზრუნველყოფა.

დაწესებულება ატარებს დაინტერესებული მხარეების ელექტრონულ გამოკითხვას, რომლის მეშვეობითაც პროგრამის პერსონალი და სტუდენტები აფასებენ პროგრამას, მის განხორციელებასა და პროგრამაში ჩართული პერსონალის მუშაობას. გარდა ამისა, პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის რელევანტურობას, შინაარსს, მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებსა და კონკურენტუნარიანობას და სხვა ასპექტებს.

მონიტორინგის შედეგების ანალიზის, გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე იკვეთება გასაუმჯობესებელი სფეროები, მუშავდება და ინერგება შესაბამისი მექანიზმები. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული იღებს საჭირო ზომებს ამ სფეროების გასაუმჯობესებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და ამ დოკუმენტებზე დაფუძნებული პროცედურები გამჭვირვალე და თანმიმდევრულია.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა ფასდება მის მიერ შემუშავებული სემესტრული სამოქმედო გეგმებითა და შესაბამისი შესრულების ანგარიშებით, აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლებით.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება PDCA პრინციპს – „დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე“.

ციკლის მიხედვით არსებული მექანიზმები გამოიყენება შემდეგნაირად:

I. დაგეგმვა (Plan) – პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს განსახორციელებელ სამუშაოებს, განსაზღვრავს შემოწმების თანმიმდევრობას, ამუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისთვის განისაზღვრება შესაბამისი ვადები/ პერიოდი.

გასაუბრებების დროს გამოვლინდა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

II. განხორციელება (Implement) – პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ეცნობიან დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებსა და მოლოდინებს. წარდგენილი თანდართული დოკუმენტები ასახავს პროცესის სისწორეს. გასაუბრებების დროს ასევე ხაზგასმით აღინიშნა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ამ პროცესში. დაწესებულება აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს.

III. შემოწმება (Check) – ბაუ- მ დაადგინა საჭირო კრიტერიუმები, პროცედურები, პერიოდულობა და შემოწმების შედეგების განხილვის ფორმატი.

წარდგენილი დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ შესწავლილია არა მხოლოდ დაწესებულების მდგომარეობა და საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარისხი, არამედ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ინფრასტრუქტურა, ინვენტარი და აღჭურვილობა, ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი და მონაცემთა ბაზები, პროგრამული უზრუნველყოფა და საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ასევე ადამიანური რესურსები (ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი).

IV. განვითარება (Develop) – ციკლის ამ ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შემოწმების/ შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, აკეთებს შესაბამის დასკვნებს და ახორციელებს შემდგომ რეაგირებას.

წარდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებების დროსაც დადასტურდა, რომ გამოკითხვების ანალიზის შემდეგ, შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად განისაზღვრება მისაღები ზომები და მათი განხორციელების ვადები. შემოწმების ობიექტს აუცილებლად მიეწოდება ინფორმაცია და მისგან მიიღება უკუკავშირი. შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას დადგენილ ვადებში და აფასებს მიღებულ შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი ციკლი დასრულებულია, დაწყებული დაგეგმვის პროცესიდან მისი საბოლოო ეტაპით (განვითარება) დამთავრებული.

ყველა შესწავლილი ასპექტი და პროცესი დოკუმენტირებულია სპეციალურად შემუშავებული ფორმების გამოყენებით, რაც ადასტურებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების არსებობას.

გასაუბრებების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ჩართული იყო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, იზრუნა ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კონცეფციის შესახებ
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგები და შეფასების სისტემა
- შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში და რეკომენდაციები
- დამსაქმებელთა გამოკითვის შედეგების ანალიზი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

უმაღლესი განათლების პროგრამების მომზადების პროცესში, ბაუ იყენებს პროგრამის აკრედიტაციის გარე შეფასების ინსტრუმენტებს. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან ერთად, უნივერსიტეტი იყენებს მართვის პროცესების ექსპერტთა შეფასებას, როგორიცაა ISO:9001. დოკუმენტებიდან და გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ სერტიფიცირების მიღების შემდეგ ჩატარდება ყოველწლიური აუდიტი და უკვე დაგეგმილია განვითარების ღონისძიებები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების ფორმა, რომელსაც იგი იყენებს პროგრამის გარე ექსპერტის ან დარგის სპეციალისტის მიერ შეფასების კონტექსტში, თუმცა ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში გარე შეფასება წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასურველია, რომ ყოველი ახალი პროგრამის შემუშავებისას პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობდეს გარე შემფასებელი (ექსპერტი), რომელიც არ არის შეფასებული პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, იცავს ეთიკურ ნორმებს

შეფასების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში ფლობს როგორც ზოგად ცოდნას, ასევე შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს. უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები უნდა იქნას გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ხოლო გარე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები შესაბამისად უნდა იქნას გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია: ყოველი ახალი პროგრამის შემუშავებისას პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობდეს დამოუკიდებელი გარე ექსპერტი, რომელიც არ წარმოადგენს შეფასებული პროგრამის მხარეს, არ არის დაინტერესებული პირი, იცავს ეთიკის ნორმებს შეფასების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში ფლობს როგორც ზოგად ცოდნას, ისე შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ბაუ-ში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების საკითხები რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების/ მონიტორინგის პროცედურით, შესაბამისი ინდიკატორების/ კრიტერიუმების, შეფასების წყაროების, პერიოდულობისა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ან მასში ჩართული პირების განსაზღვრით.

პროგრამის შეფასება, როგორც უკვე განხილულია 5.1 კომპონენტის შეფასებაში, ხორციელდება სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით. ეს თავის მხრივ გულისხმობს როგორც აკადემიურ მოსწრებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, პროგრამის მოთხოვნას და სხვა, ასევე დაინტერესებული მხარეების მოლოდინებისა და დამოკიდებულებების შესწავლას, შეფასების პროცესში სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის სხვა მექანიზმების გამოყენებას (მაგალითად, უკუკავშირი, ინფორმაცია და სხვ.), რაც მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის დიზაინსა და/ ან განხორციელებაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფასდება სემესტრული ანგარიშის წარდგენით, რომელიც მუშავდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროცესის დაკვირვებისა და შეფასების შედეგად.

უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს აკადემიური/ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. ეს განსაზღვრულია პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების დოკუმენტში, სადაც ასევე გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლებაში ჩართულ პერსონალს აფასებს ლექციებზე დასწრების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

გარდა ამისა, ურთიერთშეფასების ჯგუფი აფასებს ლექციებს/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სესიებს.

პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს თავისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მათ შეფასების ქულა ენიჭებათ. აკადემიური პერსონალი ასევე წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ ლექტორებით კმაყოფილების კითხვარს და აფასებენ პედაგოგებს კონკრეტული სემესტრის განმავლობაში, რაც მუშავდება და ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვის საშუალებით. თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს, რომლის საშუალებითაც ისინი აფასებენ კურსის სირთულეს, ლიტერატურით კმაყოფილებას, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის დატვირთვის შესაბამისობას კურსისთვის მინიჭებულ კრედიტებთან და სხვ.

უნივერსიტეტი იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს სწავლის შედეგების შეფასების მიზნით.

უნივერსიტეტმა არ წარმოადგინა „ბენჩმარკინგის დოკუმენტი“. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა პერიოდულად შეადაროს პროგრამა უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და ეს წარმოადგინოს დამოუკიდებელი დოკუმენტის, ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები
- საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი და შემუშავება
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ფორმები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამა პერიოდულად შეადაროს ანალოგიურ პროგრამებს უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებში და შედეგები წარმოადგინოს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით, ე.წ. „სამიზნე ნიშნულების“ დოკუმენტში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბაუ** „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა, სამაგისტრო პროგრამა**

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐